

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ცერცვაძე

შაბიკური კომუნიკაცია და მისი ტიპოლოგია იტალიურ ენაში

10. 02. 05. რომანული ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერების კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ციური ახვლედიანი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

ქეთევან ჯაში
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04);

ქეთევან გაბუნია
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.02.04.)


დისერტაციის დაცვა შედგება „2005“ წლის „3“ „თებერვალს“ „13. 00“ საათზე. იღია ჭავჭავაძის სახ. თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10. 01. № 1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 45

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა „27“ „დეკემბერს“ „2004“ წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი

 /დ. გვასალია/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ფაგიურ კომუნიკაციას კვლევის ორი შემდეგი ურთიერთდაკავშირებული თვალსაზრისით:

ა) ზოგადი თეორიული თვალსაზრისით ვცდილობთ დავადგინოთ, თუ რაში მდგომარეობს ფაგიური კომუნიკაციის ფუნქციური არსი და, ამ არსიდან გამომდინარე, როგორ უნდა აიგოს ამ ფენომენის აღეკვადური და ჭეშმარიტად თანამედროვე გიპოლოგია; ბ) თეორიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განვიხილავთ ფაგიური კომუნიკაციის თავისებურებებს თანამედროვე იგალიის ენობრივ-კულტურულ არეალში.

ჩვენთვის ამოსავალი იყო ფაგიური კომუნიკაციის ის განსაზღვრა, რომელიც სათავეს იღებს ბ. მალინოვსკისა და რ. იაკობსონის შრომებში და რომელიც დიდი ხანია დამკვიდრებულია ლინგვისტური კვლევის პრაქტიკაში.

ფაგიური კომუნიკაცია ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, არამედ თბილი, მეგობრული აგმოსფეროს შექმნას და უხერხული პაუზების თავიდან აცილებას, აგრეთვე მსმენელის საკომუნიკაციო აქტში ჩართვის სურვილსა და იმის გადამოწმებას, რამდენად ვარგისია არხი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კომუნიკაცია.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ მივიჩნიეთ, რომ სწორედ ფაგიური კომუნიკაციის ეს დამკვიდრებული გაგება განაპირობებს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას უკვე იმიტომ, რომ აგარებს შინაგანად წინააღმდეგობრივ ანგინომიურ ხასიათს: განსაზღვრის მიხედვით ფაგიური კომუნიკაცია არ ემსახურება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას; მაგრამ თუ ეს ასეა, როგორ შეიძლებოდა ჩათვლილიყო იგი კომუნიკაციის ერთ-ერთ სახედ, თუ მეცნიერულ ლიგურა-

გურაში კომუნიკაცია როგორც ფენომენი პრინციპულად და არსებითად უკავშირდებოდა სწორედ ინფორმაციას, ე. ი. კომუნიკაცია გაიგებოდა როგორც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა.

ზემოთ მითითებულმა გარემოებამ განსაზღვრა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ძირითადი მიზანი თეორიული თვალსაზრისით: აუცილებლად მივიჩნიეთ ფაგიური კომუნიკაციის დამკვიდრებული გაგების შინაგანი წინააღმდეგობრიობის (ანგინომიის) ისეთი გადალახვა, რომელიც იქნებოდა საკვლევი ფენომენის სრული გადააზრების გოლფასი. ასეთი გადააზრება კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანმიმდევრულად დავეყრდნობოდით თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთ მიმდინარეობებს, როგორიცაა დისკურსის თეორია და გექსტის ლინგვისტიკა, ლინგვოკულ-გუროლოგია და ეთნოლინგვისტიკა.

კვლევის ამგვარად გაგებულმა მიზანმა განაპირობა ნაშრომის მეცნიერული სიახლეც. გამოვყოფთ ამ სიახლის შემდეგ ძირითად ასპექტებს:

1) ჩვენს სადისერგაციო ნაშრომში ფაგიური კომუნიკაცია პირველად იქნა გააზრებული კომუნიკაციის არა ინფორმაციული, არამედ ინგერაქციული კონცეფციის შუქზე, რამაც მოგვცა იმის საშუალება, რომ გადაგველახა საკვლევი მოვლენის წინააღმდეგობრივი გაგება;

2) სადისერგაციო ნაშრომში პირველად იქნა შემოთავაზებული ფაგიურ მოვლენათა თანმიმდევრულად სემიოტიკური ხედვა, რამაც საშუალება მოგვცა გაგვემიჯნა ერთმანეთისაგან ვერბალური და არავერბალური ფაგიური კომუნიკაციის ტიპები;

3) წინამდებარე ნაშრომში პირველად მოხდა ფაგიური კომუნიკაციის ისეთი ტიპოლოგიზაცია, როცა ერთმანეთს შეერწყა სემიოტიკური და სოციოლოგიური კრიტერიუმები;

ვერბალური და არავერბალური ფაგიური კომუნიკაციის პარალელურად გამოვყავით კომუნიკაციის ამ ტიპის პირველად-ყოფითი და მეორად-ყოფითი ტიპები;

4) წინამდებარე ნაშრომში პირველად მოხდა ფაგიურ მოვლენათა გექსტობრივი განხილვა: ფაგიური ფუნქციის მაგარებული ყოველი ენობრივი წარმონაქმნი გაგებულ იქნა როგორც გექსტი, რამაც საშუალება მოგვცა გველაპარაკა ამ წარმონაქმნთა პრაგმასემანტიკაზე;

5) სადისერგაციო ნაშრომში პირველად მოხდა ფაგიურ კომუნიკაციასთან დავაუშირებულ იმ მოსაზრებათა თანმიმდევრული თეორიული გააზრება, რომლებსაც გამოთქვამენ თანამედროვე იგალიელი მკვლევარები. შესაბამისად ფაგიური კომუნიკაცია გაგებულ იქნა არა მხოლოდ როგორც ენობრივი ინგერაქცია, არამედ როგორც ამ ინგერაქციის „პივი“, ე. ი. როგორც კომუნიკაცია – „შეხვედრა“ (INCONTRO);

6) წინამდებარე სადისერგაციო ნაშრომში პირველად მოხდა იმ იგალიელ მკვლევართა მოსაზრებების თანმიმდევრული თეორიული გააზრება, რომლებიც მსჯელობენ ფიჭური კავშირით განპირობებულ კომუნიკაციურ „სიახლოვეზე“. ამგვარი „სიახლოვე“ ჩვენს მიერ აღქმულია როგორც კომუნიკაციური „შეხვედრის“ ისეთი ვარიანტი, როცა ერთდროულად ხდება დროისა და სივრცის გადალახვა;

7) განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სადისერგაციო ნაშრომში პირველად აიგო ფაგიური კომუნიკაციის ისეთი ტიპოლოგია, რომელიც თანმიმდევრულად ეყრდნობა როგორც ზოგადსემიოტიკურ და ზოგადკომუნიკაციურ კრიტერიუმებს, ისე იმ კრიტერიუმებს, რომლებიც უკავშირდებიან თანამედროვე ცივილიზაციის ფარგლებში განვითარებულ რეალიებს;

8) წინამდებარე სადისერგაციო ნაშრომში პირველად ხდება ფაგიური კომუნიკაციის იგალიური ტიპის ისეთი გან-

ხილვა, რომლის დროსაც გათვალისწინებულია იგალიური ენის ქართულ აუდიტორიაში სწავლების მეთოდური ასპექტები.

ვფიქრობთ, ჩვენმა ბემოთ განვითარებულმა მსჯელობამ საკმარისად წარმოაჩინა სადისერგაციო ნაშრომის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება.

თეორიული ღირებულება განისაზღვრება თანამედროვე ლინგვოსემიოტიკურ ამოცანებთან იმ კავშირით, რომლის ასპექტები საკმარისი სიცხადით იქნა წარმოდგენილი.

პრაქტიკული ღირებულება კი განისაზღვრება იმით, რომ: ა) ჩვენი კვლევა ხელს შეუწყობს იგალიური ენისა და კულტურის უფრო ფართოდ და ღრმად შესწავლას ჩვენს ქვეყანაში; და ბ) ჩვენს მიერ მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ლინგვისტიკის ზოგადთეორიული კურსების კითხვის პროცესშიც.

ვფიქრობთ, ბემოთ განვითარებული მსჯელობიდან მთელი შესაძლო სიცხადით გამომდინარეობს კვლევის ის მეთოდოლოგია, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით. შეიძლება გამოიყოს ამ მეთოდოლოგიის შემდეგი ასპექტები: ა) ეს არის პირველ რიგში ენობრივ ფენომენტთა ინგერდისციპლინარული, უპირატესად კი ლინგვო-კულტუროლოგიურ ინგერპრეცაციამდე ორიენტირებული მეთოდოლოგია; ბ) ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც თანმიმდევრულად ეფუძნება არა მარტო ენობრივ, არამედ ზოგადად კომუნიკაციურ ფენომენტთა ინგერაქციულ გააზრებას; გ) ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც არა მარტო ეფუძნება ინგერაქციულად ორიენტირებულ დისკურს-ანალიზს, არამედ ცდილობს კიდევ ამ ანალიზის შემდგომ გაღრმავებას და დეგალიზაციას დისკურსის ისეთ კონკრეტულ და სპეციფიკურ გიპზე დაყრდნობით, როგორიცაა ფატიკური კომუნიკაციის დისკურსი.

ბემოთ ფორმულირებული მეთოდოლოგიური ორიენტაციიდან გამომდინარეობს კვლევის იმ მეთოდთა სპეციფიკა,

რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის პროცესში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩვენ ვგულისხმობთ ანალიზის ფუნქციურ მეთოდს, ხოლო ჩვენი ენობრივი მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვით ენობრივ ერთეულთა ფუნქციურ ასპექტს ვანიჭებთ როგორც სემანტიკურ, ისე პრაგმატიკულ მნიშვნელობას.

ნაშრომის ბემოთ ფორმულირებულმა მიზანმა განაპირობა მასში წარმოდგენილი ენობრივი მასალის ზოგადი ხასიათი: მასალა აღებულია იგალიური ენის თანამედროვე სახელმძღვანელოებიდან და იმ სასწავლო მეთოდური ლიტერატურიდან, რომელიც ეძღვნება ძირითადად ამ ენის პრაქტიკული სწავლების მეთოდური პრობლემების განხილვას. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ ვეყრდნობით როგორც იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც განკუთვნილია უცხოელებისთვის, ისე იმ სახელმძღვანელოებსაც, რომლებიც გამოიყენება თვით იგალიურ საშუალო და უმაღლეს სკოლებში.

გარდა ხსენებული წყაროებისა, ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ ინგერნეგით მოწოდებული წყაროც: ჩვენ ვგულისხმობთ ინგერნეგში გამოქვეყნებული ლინგვისტური და მეთოდური ხასიათის იმ სტატიებს, რომლებშიც გაანალიზებულია თანამედროვე ყოველდღიური იგალიური დისკურსი. განსაკუთრებით ყურადღება მიექცა ხსენებული დისკურსის იმ ასპექტებს, რომლებიც აგარებენ ხაზგასმით ყოფით ხასიათს (რითაც „გარანტირებულია“ მათი „ფატიკურობა“), მაგრამ, ამავე დროს, უშუალოდ და ორგანულად უკავშირდება ფიქურ საგელეფონო კავშირს (ანუ თანამედროვე ყოფის ახალ, მეორად ღონეს).

იგალიურ ენასთან და კულტურასთან დაკავშირებულ ყველა ბემოთ ხსენებულ ასპექტში ჩვენ ვიღებდით უშუალო და პირდაპირ კონსულტაციებს იგალიელი სპეციალისტების-

გან, რისთვისაც ჩვენ მათ მაღლობას ვუხდით.

სადისერგაციო ნაშრომის მიზანდასახულობა განსაზღვრავს მის სტრუქტურასაც. იგი შედგება შესავლისაგან და სამი თავისაგან. პირველი თავი ეძღვნება როგორც ფაგიური კომუნიკაციის კვლევის ზოგადთეორიულ და ზოგადმეთოდოლოგიურ პრობლემებს, ისე მის გიპოლოგიას, ხოლო დანარჩენი ორი თავი კი – ფაგიური კომუნიკაციის ცალკეული გიპების კვლევას იგალიურ ლინგვოკულტურულ არეალში. ნაშრომის მეორე თავში გიპოლოგიზირებული და გაანალიზებულია იგალიური ფაგიური კომუნიკაციის ის ასპექტი, რომელსაც „პირველად-ყოფითი“ უნდა ვუწოდოთ (ეს ის ასპექტია, რომელიც ვლინდება იგალიურ დისკურსში ყოველგვარი თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიებისგან დამოუკიდებლად); მესამე თავში კი განხილულია არავერბალური ასპექტი და ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება ფიჭურ საგულეფონო კავშირს (ანუ თანამედროვე ყოფის ახალ, მეორად-ყოფით ღონეს).

დისერგაციის აპრობაცია შედგა 2004 წლის 24 სექტემბერს, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დ/ევროპის ენებისა და ლიგერაგურის ფაკულტეტის რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერების კათედრის სპეციალიზირებულ სხდომაზე. დისერგაციის ძირითადი შედეგების მიხედვით გამოქვეყნებულია სამი სამეცნიერო შრომა.

სადისერგაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I – „ფაგიური კომუნიკაცია და მისი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“ – თეორიული თვალსაზრისით ჩვენთვის ამოსავალი იყო ფუნდამენტური მნიშვნელობის შემდეგი კითხვა: როგორ გამოიყურება კონკრეტულად კომუნიკაციის ის თანამედროვე თეორია, რომ-

ლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ფაგიური კომუნიკაციის ინტეგრირება? არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ კომუნიკაციის ფენომენზე ზოგად თეორიული საუბარი ვერ იქნებოდა ჩვენთვის თვითმიზანი: იგი აუცილებელი იყო იმისთვის, რომ გადაგველახა ჩვენთვის საინტერესო ფენომენის, ანუ ფაგიური კომუნიკაციის დღეისთვის არსებული ცნების უკვე ჩვენს მიერ ხაზგასმული *ანგინომიურობა*, რადგან ამის გარეშე ჩვენ არა მარტო ვერ შევძლებდით მისი ფუნქციური არსის წვდომას, არამედ ვერ მოვახერხებდით მის ადეკვატურ *გიპოლოგიზაციასაც*. დასმული ამოცანის შესრულებას შევეცადეთ შემდეგი კვლევითი ნაბიჯების გადადგმის გზით:

ჯერ ვნახეთ, თუ როგორ განისაზღვრება თანამედროვე ლინგვისტურ (და ლინგვოკულტუროლოგიურ) ლიგერაგურაში კომუნიკაცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორია დღეისთვის კომუნიკაციის *დომინანტური* ხელვა. ვფიქრობთ, ამ გზით ჩვენ კიდეც ერთხელ დავრწმუნდებით იმ შინაგან ანგინომიურობაში, რომელსაც შეიცავს ფაგიური კომუნიკაციის საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია. ამ მიზნით ჩვენ მივმართეთ ვ. კრასნისის (В. Красных) უახლეს მონოგრაფიას, რომლის მიხედვით „კომუნიკაცია წარმოადგენს ორ ან ორზე მეტ ენობრივ პიროვნებათა ურთიერთმომქმედების ისეთ პროცესს, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა“¹.

კომუნიკაციის ეს დღეისთვის ფართოდ გავრცელებული გაგება არ იძლევა ფაგიური კომუნიკაციის როგორც კონცეპტის ცნების შინაგანი წინააღმდეგობრიობის (ანგინომიურობის) გადალახვის საშუალებას, რის გამოც შეუძლებელი ხდება ამ ფენომენის კონცეპტუალური ინტეგრირება კომუნიკაციის ზოგად სფეროში (როგორც უკვე ითქვა, ფაგიური კომუნიკაცია არ განიხილება როგორც ინფორმაციის

¹ В. В. Красных „Основы Психолингвистики и Теории Коммуникации“, „Гнозис“, Москва, 2001, стр. 174

გაცვლა-გამოცვლა, ამიგომ ჩვენ ვიდექით შემდეგი დილემის წინაშე: ან უარი უნდა გვეთქვა ფაგიური კომუნიკაციის ცნებაზე, ან აუცილებელი ხდებოდა კომუნიკაციის ბევრად უფრო ფართო და პრინციპულად განახლებული გაგება.

კომუნიკაციის სწორედ ამგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე მ. მაკაროვის (М. Макаров) უახლეს მონოგრაფიაში „დისკურსის თეორიის საფუძვლები“. მონოგრაფიის ავტორი განიხილავს კომუნიკაციის სამ თეორიულ მოდელს: ინფორმაციულ-კოდურს, ინფერენციულს და ინტერაქციულს. ავტორის აზრით, ეს მოდელები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორია მათ ფარგლებში ისეთი კატეგორიათა ხვედრითი წონა, როგორიცაა კომუნიკაცია და ინფორმაცია. ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს სხეულებს: იგი თვლის, რომ იმ თეორიული მიდგომის მაგალითს, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ინფორმაციას, წარმოადგენს კომუნიკაციის ინფორმაციულ-კოდური მოდელი. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კომუნიკაციის ინტერაქციული მოდელი, რომლის ძირითადი „პრინციპია“ ურთიერთგამოქმედება, განპირობებული სოციალურ-კულტურული სიგუაციით.

ამ მოდელის მიხედვით „კომუნიკაცია განიხილება როგორც ქცევა (არაბიპევიორისგული გაგებით) ... კომუნიკაცია ხორციელდება არა როგორც ინფორმაციის გრანსლაცია, არამედ როგორც ისეთი მნიშვნელობათა დემონსტრაცია, რომლებიც შეიძლება არც იყვნენ განუთვნილი იმისთვის, რომ იქნან ამოცნობილი და ინტერპრეტირებული რეციპიენტის მიერ“. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც „განსაკუთრებულ როლს თამაშობს მეორე პირის როგორც მსმენელის აქტიურობა“.

კომუნიკანტთა ურთიერთმონაწილეობის (соучастие) გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმის მიღწევა, რასაც ავტორი

უწოდებს „ინტერსუბიექტურობას“, ხოლო ეს სუბიექტურობა ესმის, როგორც ფსიქოლოგიურად და ფენომენოლოგიურად განცდილი ერთობლიობა (ининость, togetherness).

როგორც ვხედავთ, ინტერაქციულად გაგებული კომუნიკაცია უკვე იძლევა იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ გადალახული იქნეს ფაგიური კომუნიკაციის ცნების შინაგანი ანგინომიურობა. აქედან გამომდინარე ბევრით დასმულ კითხვაზე ზოგადი სახით უნდა გაიცეს შემდეგი პასუხი: კომუნიკაციის ინტერაქციული კონცეფცია შეიძლება იქცეს იმ თეორიულ ბაზად, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ ფაგიური კომუნიკაციის როგორც კონცეპტის ადეკვატური ინტერპრეტაციისა და გიპოლოგიზაციის პროცესში. სწორედ იგალიელი ლინგვისტები გვთავაზობენ ფაგიური კომუნიკაციის ხაზგასმით ინტერაქციულ გაგებას, თუმცა ამ გაგების ფორმულირებისას არ ეყრდნობიან ექსპლიციტურად კომუნიკაციის ზოგად თეორიას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფენომენის ისეთ კონცეფციასთან, რომელიც ეყრდნობა ადეკვატურად წარმართულ ინტუიციას და ზუსტ დაკვირვებას, მაგრამ, რომელიც არ არის შესაბამისი სახით კონცეპტუალიზირებული.

იგალიელ ლინგვისტთა ის გამონათქვამები, რომელთა საგანს ფაგიური კომუნიკაცია წარმოადგენს სადისერგაციო ნაშრომში „განლაგებულია“ არა უბრალოდ ერთი მეორის გვერდზე, არამედ ისე, რომ ამ „განლაგებაში“ შეიძინოს განსაკუთრებული აზრობრივი ვექტორი: ამ გამონათქვამებს მივყავართ ფაგიური კომუნიკაციის როგორც ფენომენის ისეთი ინტერპრეტაციისკენ, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს თვით ინტერაქციულობის გადრმავებულ გაგებად.

იგალიელ ლინგვისტთა ნააზრევში ფაგიური კომუნიკაციის ინტერაქციული თვალსაზრისით გადრმავებული გაგება თავის „პიკს“ აღწევს იგალიელი ენათნეცნიერების პიერო

¹ М. Макаров „Основы Теории Дискурса“, Москва, „Гнозис“, 2003, стр. 37

ბაგალიას და ჯულიო გოსკის ნაშრომში. მართალია ავტორები ლაპარაკობენ ზოგადად კომუნიკაციაზე, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის მათ მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციაში ერთდროულად ხდება ორი მნიშვნელოვანი რამ: ა) კომუნიკაცია გაიგება იმდენად „ინტერაქციულად“, რომ ეს ინტერაქციულობა იღებს „ფაგიკურ“ ხასიათს; ბ) ამგვარი ინტერაქციულობა კი (თუმცა თვით ამ გერმინს ავტორები არ ხმარობენ) გაგებულია, როგორც *შეხვედრა* (INCONTRO). ვფიქრობთ, შეუძლებელია არა მარტო ფაგიკური კომუნიკაციის, არამედ ზოგადად კომუნიკაციის უფრო ღრმა გაგება.

შეხვედრა (INCONTRO) რომ შედგეს, ამისათვის ორი ძირითადი ელემენტია საჭირო: მინიმუმ ორი ინდივიდის არსებობა და კომუნიკაციის დამყარების სურვილის გამოხატვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ორი ინდივიდიდან ერთ-ერთი თავს ივადგინებს თითქოს მეორეს უსმენდეს, სინამდვილეში კი თავის ფიქრებშია გართული, *შეხვედრა* ანუ *კომუნიკაცია* ვერ განხორციელდება. ეს არ მოხდება მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი თავის „ნაჭუჭში“ გამოიფეგება და მხოლოდ მეორეს დააკისრებს საუბრის მთელ სიმძიმეს. *შეხვედრის* ანუ *კომუნიკაციის* განსახორციელებლად საჭიროა ჩვენი „ნაჭუჭიდან“ გამოვძვრეთ და თანამოსაუბრისკენ „მეგობრული“ ნაბიჯი გადავდგათ მისი კარგად გაცნობის მიზნით.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ *კომუნიკაციის ინფორმაციული გაგება აღვიღს უთმობს მის ინტერაქციულ გაგებას*. სხვანაირად რომ ვთქვათ, აღვიღი აქვს ისეთ პარადიგმულ ძვრას კომუნიკაციის როგორც ფენომენის ინტერპრეტაციაში, რომლის წყალობით ფაგიკურმა კომუნიკაციამ შეიძლება მთლიანად შეიცვალოს თავისი სტატუსი კომუნიკაციის თეორიაში: ამ თეორიის პერიფერიიდან მან შეიძლება გადაინაცვლოს მის ცენტრში.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ყველაფერ იმას, რაც ზემოთ ითქვა, მაშინ ინტერაქციულად გაგებული კომუნიკაციაც უნდა გავიგოთ ისეთ *კონკრეტულად*, რომლის ფარგლებში მოქმედებს ველის პრინციპი. მაგრამ ისმის კითხვა: როგორ უნდა მოხდეს კვლევის ზოგადთეორიულ და გიპოლოგიურ ასპექტთა დაკავშირება? ვფიქრობთ, ამ ამოცანის შესრულებას საფუძვლად უნდა დაედოს ფაგიკურ კომუნიკაციასთან როგორც საკვლევ თემასთან დაკავშირებული შემდეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური მომენტების თანმიმდევრული გათვალისწინება: ა) არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ფაგიკური კომუნიკაცია როგორც დისკურსის გიპი წარმოდგენილია ამა თუ იმ *გექსტის* სახით. ხოლო გექსტი კი, თანამედროვე ლინგვისტიკაში გაგებულია სემიოტიკურად, ანუ როგორც *ნიშანი*. ამიგომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფაგიკურ კომუნიკაციაში მონაწილე ენობრივ ერთეულთა წმინდა გექსტობრივი განზომილება და, ბუნებრივია, ამ განზომილებას ჩვენ განვიხილავთ ნიშნობრივი, ანუ სემიოტიკური თვალსაზრისით. ასეთი თვალსაზრისი კი, პირველ რიგში, გულისხმობს იმის გათვალისწინებას, რომ ნებისმიერი ენობრივი გამონათქვამი ხასიათდება სამი ასპექტით: სინგაქტიკურით, სემანტიკურით და პრაგმატიკულით. ბ) ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ფაგიკური კომუნიკაცია ეკუთვნის ენობრივი კომუნიკაციის *ყოფით* დონეს, ანუ იმ დონეს, რომელიც ყველაზე მეტი უშუალოდ რეაგირებს იმ სოციალურ, ცივილიზაციურ თუ მეცნიერულ-გექნივურ ცვლილებებზე, რომლებიც ასე დამახასიათებელია ჩვენი ეპოქისათვის. აქედან გამომდინარეობს ხსენებული გიპის გამონათქვამთა გიპოლოგიზაციის პირველი კრიტერიუმი, რომელიც შეიძლება ფორმულირებულ იქნეს შემდეგნაირად:

ა) ჩვენი თანამედროვე ყოფა (იქნება ეს ქართული თუ იგალიური) გამოირჩევა შემდეგი დონეებრივი სტრუქტურით:

არსებობს ამ ყოფის პირველადი ანუ ბუნებრივი, ე.ი. ახალი გექნოლოგიებით არ განპირობებული (ან ნაკლებად განპირობებული) ღონე, ე.ი. ყოფის ის ღონე, რომლის ფარგლებში ურთიერთობენ ყოველგვარი გექნივის გამოყენების გარეშე. მაგრამ ამავე დროს სულ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს ყოფითი ურთიერთობის ის ღონე თუ ასპექტი, რომელიც მთლიანად განპირობებულია თანამედროვე საკომუნიკაციო გექნივის არსებობით. აქედან გამომდინარე, უნდა განვასხვავოთ ფაგიკურ გამონათქვამთა ორი ტიპი: გამონათქვამები, რომლებიც გვხვდებიან *ყოფის პირველად* (ახალი გექნოლოგიებით არ განპირობებულ) *ღონებზე* და გამონათქვამები, რომლებიც გვხვდებიან *ყოფის მეორად*, ანუ გექნოლოგიურად განპირობებულ *ღონებზე*;

ბ) გიპოლოგიზაციის მეორე შესაძლო კრიტერიუმი უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე სემიოტიკის შემდეგ, დღეისთვის უკვე აქსიომატურ დებულებას: ნიშანი (შესაბამისად გექსტი) შეიძლება იყოს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური. როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ნიშანთა იმ არავერბალურ სისტემას, რომელსაც ადამიანი იყენებს ურთიერთობაში ვერბალურთან ერთად, ეწოდებოდა „პარალინგვისტიკის“ სფერო. დღეს ხსენებული სფერო უკვე იქცა აქტიური ლინგვოსემიოტიკური კვლევის სფეროდ და ბუნებრივია, რომ იგი მივიჩნიოთ ჩვენი საკვლევი თემის, ანუ ფაგიკური კომუნიკაციის ორგანულ ნაწილად. ამგვარად, ჩვენ გამოვყავით და განვსაზღვრეთ ფაგიკურ გამონათქვამთა გიპოლოგიზაციის მეორე კრიტერიუმიც: *ვერბალური* და *არავერბალური ფაგიკური გამონათქვამები*.

მაგრამ გიპოლოგიზაციის კრიტერიუმთა მეთოდოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით ჩნდება შემდეგი ორი მნიშვნელოვანი კითხვა: ა) უნდა განვასხვავოთ თუ არა ფაგიკური გამონათქვამები მათი სემანტიკური და პრაგმატიკული

მნიშვნელობების მიხედვით? ამგვარი განსხვავების არსებობა ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი სხვა ტიპის გამონათქვამებისათვის; მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ თავისი ფუნქციით ფაგიკურობა ძალიან შორსაა ინფორმაციულობის იმ კრიტერიუმებისაგან, რომლის გარეშე შეუძლებელია მოხდეს სემანტიკისა და პრაგმატიკის მკაფიო გამიჯვნა; სემანტიკა განეკუთვნება სწორედ ინფორმაციული გამონათქვამის განზომილებას, ხოლო პრაგმატიკა კი ასახავს კომუნიკანტთა შორის ურთიერთმიმართებას; ბ) აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვყავით ფაგიკურ გამონათქვამთა ორი ტიპოლოგიური ოპოზიცია:

1) პირველად-ყოფითი ფაგიკური გამონათქვამები
Vs

მეორად-ყოფითი ფაგიკური გამონათქვამები

2) ვერბალური ფაგიკური გამონათქვამები
Vs

არავერბალური ფაგიკური გამონათქვამები

თვით ფაგიკური კომუნიკაციის ფუნქციური არსიდან გამომდინარე უნდა ჩავთვალოთ, რომ ფაგიკური გამონათქვამი მინიმალურად (თუ არა ნულის ღონებზე) შეიცავს ინფორმაციულობას და ამდენად მასში მაქსიმალურ ღონებზეა განხორციელებული ის, რასაც პრაგმატიკული მნიშვნელობა შეიძლება ეწოდოს. ამიგომ ჩვენ შესაძლოდ და აუცილებლადაც კი მიგვაჩნია ვილაპარაკოთ ფაგიკურ გამონათქვამთა *პრაგმასემანტიკაზე*.

როგორც ცნობილია, ფაგიკური კომუნიკაციის ქართული მკვლევარი ი. ლემეგრადე გამოჰყოფს ფაგიკური კომუნიკაციის ცხრა ქვეტიპს, რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა,

ერთმანეთთან პარადიგმატულ მიმართებაში იმყოფებიან. ეს ქვეგუბები: 1. მისაღმები; 2. დამშვიდობებები; 3. მაღლობები; 4. ბოლიშები; 5. დაპატივებები; 6. შეთავაზებანი; 7. დალოცვები, მილოცვები; 8. თანაგრძნობის გამომხატველი გამოთქმები; 9. ქათინაურები.

ჩვენ ვიღებთ ი. ღემერაძის მიერ შემოთავაზებულ ფაგიურ პრაგმასემანტიკას მის სისტემურ მთლიანობაში, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროდ მიგვაჩნია შევავსოთ იგი იმ პრაგმა-სემანტიკური გიპობრივი ერთეულით, რომელსაც ჩვენ ფაგიური კომუნიკაციის გაცნობისა და თავაზიანი მიმართვის პრაგმა-სემანტიკურ ქვეგუბს ვუწოდებთ, რის შედეგად ჩვენ ვიღებთ არა ცხრა –, არამედ ათწევრიან პრაგმასემანტიკურ სისტემას.

თავი II „ფაგიური კომუნიკაციის პირველად-ყოფითი გიპი იგალიურ ლინგვოკულტურულ არეალში: ვერბალური ქვეგუბი (ფაქტოგრაფიული კლასიფიკაცია და კონცეპტუალური ანალიზი)“ ეთმობა ფაგიური კომუნიკაციის ხსენებული ათი გიპის განხილვას თანამედროვე იგალიური ენის მასალაზე. გაანალიზებულია ყველა ხსენებული გიპის პრაგმასემანტიკა ამ პრაგმასემანტიკის სიგუაციურად განპირობებული ფორმების მიხედვით. ეს გიპებია:

1. გაცნობისა და თავაზიანი მიმართვის გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „sono molto lieto di fare la Sua (tua, vostra) conoscenza!"; „felice di conoscerLa (ti, vi)"; „Sua Eccellenza Signor Ambasciatore...“, „Onorevole Signor Ministro...“ და ა. შ.

2. მისაღმების გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „ciao!"; „salve!"; „saluto!"; „buon mattino!"; „dove sei finito?"; „dove ti sei cacciato?"; „e' da molto (tempo) che non ci vediamo!“ და ა. შ.

3. დამშვიდობების გამომხატველი ფაგიური პრაგმასე-

მანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „arrivederci!"; „arrivederLa!"; „a presto!"; „a fra poco!"; „ci vediamo!"; „spero di rivederti(vi,La) presto!"; „saluti a tutti!“ და სხვ.

4. მაღლიერების გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „grazie!"; „mille grazie!"; „La(ti,vi) ringrazio!"; „Le(ti, vi) sono molto grato(a)!"; „ti(vi,La) ringrazio molto della tua(vostra,Sua) cortesia!“ და ა. შ.

5. ბოლიშის გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „scusi(a)!"; „chiedo scusa!"; „devo scusarmi con te (Lei, voi)!"; „scusi, non si offenda!“ და სხვ.

6. დაპატივების გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „vieni da noi a trovarci!"; „Lei può venire a casa mia quando lo desidera!“ და ა. შ.

7. შეთავაზების გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „avanti!"; „entra (entri, entrate) pure!"; „(che) cosa posso offrirti(vi, Le)?“; „come posso aiutarti?“ და ა. შ.

8. დალოცვებისა და მილოცვების გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში: მაგ.: „che Dio ti(vi, La) aiuti!"; „buona fortuna!"; „auguri!"; „felicitazioni!“ და სხვ.

9. თანაგრძნობის გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „su, coraggio!"; „abbi(a) pazienza!"; „non temere!"; „mi unisco al tuo(vostro, Suo) dolore!“ და ა. შ.

10. ქათინაურის გამომხატველი ფაგიური პრაგმასემანტიკა იგალიურ ენაში, მაგ.: „sei splendido(a)!"; „questo vestito ti(Le) sta molto bene!"; „come sei intelligente!“ და სხვ.

ჩვენ განვიხილავთ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პრაგმასემანტიკული გიპის სიგუაციურად განპირობებულ ფორმებს, გარდა ამისა ნაშრომში მოცემულია სასარგებლო რჩევები იგალიური ენისა და კულტურის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის, რაც მათ დაეხმარება ფაგიური კომუნიკაციის სწორად წარმატებაში. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მათვანს:

1) ფაგიური კომუნიკაციის წარმატებითი განხორციელებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სასაუბრო რეგისტრის დაცვა. მოსაუბრეები უნდა ცდილობდნენ არ დაუშვან მეტყველების განსაკუთრებულ რეგისტრთა ერთმანეთში არევა. ხშირად სათანადო უნარ-ჩვევის მქონე განათლებული პიროვნება აუცილებლად „მოარგებს“ შექმნილ სიტუაციას სათქმელს და თითქმის ყოველთვის წინასწარ იცის, რომ სწორედ ამაზეა დამოკიდებული ის, თუ რა რეაქციას გამოიწვევს მსმენელში მის მიერ წარმოთქმული ფრაზა: დადებითს თუ უარყოფითს. ალბათ მასწავლებლის „რისხვას“ გამოიწვევს მოსწავლემ რომ შემდეგი ფრაზით მიმართოს თავის პედაგოგს: „Dai, prof, si sbrighi a correggere quei compiti del tubo!“ (მიდი რა, მასწავ, გაასწორე ეს უაზრო დავალებები!), „tubo“ ფამილიარული კილოს სიტყვაა, უარყოფითი სემანტიკის ფრაზებში იხმარება და ნიშნავს: „არაფრის მთქმელი; არაფრის მაქნისი“). ხომ ბუნებრივია, რომ ასეთ ფრაზაზე მან მასწავლებლის რისხვანარევი პასუხი მიიღოს: „Ehi, ma con chi credi di parlare? Cambia subito tono, non sono un tuo compagno io!“ (ეი, შენ ვის ელაპარაკები ასეთნაირად? ახლავე გონი შეიცვალე, შენი თანაკლასელი ხომ არ გგონივარ!). და, პირიქით, მოსწავლემ რომ თანაკლასელს მიმართოს: „Saresti così gentile da farmi ricavare qualche spunto dal tuo elaborato di matematica?“ (ხომ არ ინებებდი, ჩემთვის ნება დაგერთო, რომ შენი მათემატიკური ნალვაწიდან რამოდენიმე ამოხსნა ამომეღო?). აღვილი წარმოსადგენია ამ მარალფარდოვანი ფრაზით გაოგნებული თანაკლასელის პასუხი: „Ma, sei scemo? Se vuoi copiare, fallo senza fare tante storie!“ (შენ რა გაგიჟდი? თუ გადაწერა გინდა, გადაიწერე და მივიბუღ-მოვიბუღ საუბარს შეეშვი!). შემოთმოყვანილი ფრაზებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასაუბრო რეგისტრთა დაცვას.

2) ოფიციალური ურთიერთობისას ხშირია შემთხვევები, როცა იგალიელები ამა თუ იმ პიროვნებას „თქვენობით“ (Lei) მიმართავენ, მას მხოლოდ საკუთარი სახელით და ხშირ შემთხვევაში ამ სახელის კნინობითი (კერძოდ, შემოკლებული) ფორმით მოიხსენიებენ ხოლმე: მაგ. „Lei, signor Nino...“, Nino არის Giovannino-ს კნინობითი (შემოკლებული) ფორმა. თუმცა აქვე მინდა ავლიშნო, რომ ბევრი იგალიელი, განსაკუთრებით სხვა ქვეყანაში ყოფნისას, ამჯობინებს, რომ იგი ოფიციალურ დონეზე ე. ი. გვართ მოიხსენიონ და არა კერძო სახელით, რადგან ყოფილა შემთხვევები, როდესაც აქ ჩამოსულ რამოდენიმე მათგანს მსგავსი სახელი ჰქონია. იმის გამო, რომ იგალიელთა რაოდენობა საქართველოში არც თუ ისე დიდია, ყოფილა შემთხვევები, როცა მხოლოდ საკუთარი სახელით მოხსენიებული ერთი კონკრეტული პიროვნება სხვა და სამწუხაროდ რეპუტაციაშელახულ, მოსახელესთან გაუიგივებიათ, რასაც ამ პიროვნების დიდი გულისგვივლი და წყენა მოჰყოლია თან. შემოთ თქმულიდან გამომდინარე უმჯობესია, თუ თავიდან ავიცილებთ და სტუმარსაც ავაცილებთ მსგავს გაუგებრობებს.

3) როდესაც ოფიციალური ურთიერთობიდან არაოფიციალურზე გადასვლის სურვილი უჩნდება, იგალიელი შემდეგი ფრაზებით მიმართავს თანამოსაუბრეს: „dai, diamoci del tu!“; (მოდი, „შენობით“ ვილაპარაკოთ!); „perche' non ci diamo del tu?“ („შენობით“ ხომ არ მიგვემართა ერთმანეთისთვის?); „Che ne diresti di darci del tu?“ (რას იტყვი იმაზე, რომ „შენობით“ ვისაუბროთ?); „permetti che ci diamo del tu?“ (ნებას მომცემ „შენობით“ რომ მივმართოთ ერთმანეთს?); „ti va se ci diamo del tu?“; „non hai niente in contrario se ci diamo del tu?“ (გაწყობს, (წინააღმდეგი ხომ არა ხარ), რომ „შენობით“ ვისაუბროთ?);

უნდა აღინიშნოს, რომ იგალიელისთვის „შენობით“ (tu)

მიმართვაზე სწრაფად გადასვლა ძალზე გავრცელებული ფორმაა, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და მოზარდებს შორის, ერთი და იგივე ასაკის მქონე პირებსა და კოლეგებს შორის, აგრეთვე ხელოვნებისა და თეატრალური სამყაროს წარმომადგენლებს შორის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველმა ქალმა უნდა შესთავაზოს მამაკაცს „შენობით“ (tu) საუბარზე გადასვლა, ხოლო ასაკით უფროსმა თავისზე უმცროსს. მაგრამ იტალიელები ხშირ შემთხვევაში არაღ დაგიდევენ ეტიკეტის ამ წესებს, საკუთარ ინგუიციამდე დაყრდნობით ხელიდან არ უშვებენ ასეთ შანსს და ცდილობენ კომუნიკაცია უფრო ახლობლურ, ინგიმურ ასპექტში აიყვანონ.

თუმცა, თუ ნებისმიერი უცხო ქვეყნის წარმომადგენელი იტალიელების გარემოცვაში ყოფნისას მსგავს გენდენციას აღმოაჩენს, უმჯობესია პირველმა არ გადადგას ეს ნაბიჯი და დაელოდოს, რომ ინიციატივა სწორედ იტალიელის მხრიდან მოდიოდეს.

4) ბოგჯერ იტალიელი იმდენად მოსურნეა ფაგიური სიგუაციის შექმნისა, რომ შეკითხვაში თავად იგულისხმება მოსაკითხი პიროვნების კარგად ყოფნის სურვილი და იგი წმინდა ფაგიური დაგვირთვის მაგარებელია: „che fai di bello?“, რაც ქართულად სიგყვასიგყვით ასე ჟღერს: რას აკეთებ კარგს?; თუმცა ამ მხრივ არც ქართველი რჩება იტალიელს ვალში და ხშირად ეკითხება შემხვედრს: „რა არის შენსკენ კარგი?“

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იტალიელი შეკითხვაზე „come sta(i)?“; „come va?“ (როგორა ხარ(თ)?) ჩვეულებრივ ინსტიგურად პასუხობს: „Grazie, bene“ (მადლობ(თ), კარგად) – მაშინაც კი, თუ ამ უკანასკნელს უამრავი გასაჭირი აქვს, რადგან შეეცდება არ დაარღვიოს სამეგყველო ეტიკეტი და თანამოსაუბრე არ შეაწუხოს პირად პრობლემებზე და გაჭირვებაზე წუწუნით. რაც შეეხება პასუხს: „ისე რა!“ – იტალიურად

„così -così“; „insomma ...“ – ჩვენი აზრით, არც იტალიურში და არც ქართულში არ წარმოადგენს თავაზიან პასუხს შეკითხვაზე: „როგორა ხარ(თ)?“, რადგან უხეშად აღიქმება და მსმენელს მოსაუბრისადმი უარყოფითად განაწყობს.

5) მაღალი გემპერამენგისა და მძაფრი სამხრეთული ხასიათის მქონე იტალიელები ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჭარბი ქესტიგულაციის გამოძეყნებული ერია მსოფლიო ერთა შორის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, თუ როგორ სასიამოვნოდ გაოცდებიან ხოლმე ისინი, როდესაც ქართველიც ოსტაგურად გამოიყენებს საუბარში ამა თუ იმ ქესტს. მახსენდება ერთი ფაქტი: როგორი სიმპათია გამოიწვია ერთ იტალიელ სტუმარში ქართველი ქალიშვილის ქესტიგულაციამ, რომელსაც იგი იშველიებდა იმის გამო, რომ არ შეეძლო იტალიურად საუბარი და ქართულად უხსნიდა სტუმარს თავისი საქმიანობის შესახებ ქესტიგულაციის ისეთი ოსტაგური გამოყენებით, რომ სასიამოვნოდ გაოცებულმა იტალიელმა მას „una vera milanese“ „ნამდვილი მილანელი ქალიშვილიც“ კი უწოდა და დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართული არ ესმოდა, მშვენივრად გაიგო, თუ რაზე მოუთხრობდა ქალიშვილი.

ეს პაგარა ისგორია კიდეე ერთხელ მეგყველებს იმის შესახებ, თუ რაოდენ წამყვანი ადგილი ეთმობა კინესიურ სიგნალებს.

თავი III „ფაგიური კომუნიკაციის არავერბალური და საკომუნიკაციო გექნოლოგიებით განპირობებული ასპექტები იტალიურ ლინგვოკულტურულ არეალში“ ეძღვნება იტალიურ ენობრივ-კულტურულ არეალში ფაგიური კომუნიკაციის გიპოლოგიზაციის შემდეგ ასპექტებს. შესაბამისად განიხილება ფაგიური კომუნიკაციის არავერბალური და უახლესი საკომუნიკაციო გექნოლოგიებით განპირობებული გიპები. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იტალიელ მველევართა მოსაზრებებს.

მოცემულ თავში ვსვამთ ჩვენი კვლევის თემასთან დაკავშირებულ შემდეგ კითხვას: იძლევა თუ არა არავერბალური სემიოტიკის (კინესიკის, „სხეულის ენის“ თეორიის) ზემოთ ხსენებული მდგომარეობა იმის საშუალებას, რომ ჩვენ მთელი შესაძლო სიცხადითა და სიზუსტით გამოვყოთ არავერბალური ფაგიკური კომუნიკაციის სფერო და მოვახდინოთ მისი შემდგომი შინაგანი დიფერენცია? რა შემთხვევაში შეიძლება გაგვეცა დადებითი პასუხი ამ კითხვაზე? როგორც უკვე ვიცით, არავერბალური კომუნიკაცია უნდა ეფუძნებოდეს იგივე სემიოტიკურ კანონზომიერებებს, რომლებსაც ეფუძნება ვერბალური კომუნიკაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა შეგვეძლოს გამოვყოთ და აღვწეროთ სხეულებრივ მოძრაობათა (*ქესტთა*) ისეთი კორპუსი, რომელთა *პრაგმასემანტიკა* როგორც მთლიანობაში, ისე დიფერენციალურად, დაემთხვევა იმ პრაგმასემანტიკას, რომლის ნომინაციას, აღწერას და სიგუაციურ ვარიანტებს დაეთმო ჩვენი ნაშრომის მეორე თავი. სხვა შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდებოდა თვით ფაგიკური კომუნიკაციის როგორც ფენომენის განსაზღვრის გადასინჯვა, რაც არ იქნებოდა მართებული როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

მოცემულ თავში საკმარისად დიდი ადგილი დაეთმო არავერბალური კომუნიკაციის ცნობილი მკვლევარის იულიუს ფასტის მონოგრაფიაში „სხეული საუბრობს“ მოყვანილი ემპირიული მასალის ანალიზს. ხსენებული მასალისა და მისი თეორიული ფონის სინთეზური განხილვის შედეგად გამოიყოფა ფაგიკური არავერბალური კომუნიკაციის კვლევასთან დაკავშირებული თემატიკის შემდეგი პრობლემური ასპექტი: როგორც ჩვენმა გამოკვლევამ გვიჩვენა, შეიძლება ითქვას, რომ ვერბალური ფაგიკური კომუნიკაციიდან უკვე გამოიკვეთა ხსენებული პრაგმასემანტიკის როგორც ზოგადი კონსტრუქციები, ისე მისი ქვეგეგმებად დაყოფის კრიტერიუმები. კვლე-

ვის ამ ეტაპზე ბუნებრივია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ საკუთრივ ფუნქციურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით არავერბალური ფაგიკური კომუნიკაციის პრაგმასემანტიკა არ უნდა განსხვავდებოდეს ვერბალური ფაგიკური კომუნიკაციის პრაგმასემანტიკისაგან. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ეს არის მხოლოდ თეორიული ვარაუდი, რომლის მართებულობა უნდა დადასტურდეს „სხეულის ენის“ როგორც ემპირიული სინამდვილის შემდგომი კვლევის შედეგად.

ამ პრობლემატიკის სრული გათვალისწინება იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას: ლინგვოსემიოტიკურმა კვლევამ უკვე დიდი ხანია, რაც გამოჰყო ფაგიკური კომუნიკაცია როგორც კვლევის ავტონომიური ობიექტი, მაგრამ ასევე უჭველია ის ფაქტიც, რომ კომუნიკაცია როგორც სოციალური მოვლენა წარმოადგენს ერთიან განუყოფელ კონტინუუმს. უფრო მეტიც, კომუნიკაციის ამგვარი, ანუ კონტინუალური ხასიათი განსაკუთრებით ნათელი ხდება იმ შემთხვევაში, თუ მას აღვიქვამთ ინტერაქციულ მოდელზე დაყრდნობით.

ფაგიკური კომუნიკაციის არავერბალური გიპის განხილვის შემდეგ მოცემულ თავში მიმოვიხილავთ თანამედროვე ყოფითი კომუნიკაციის მეორად დონეს, დაკავშირებულს ფიქტურ გელეფონთან. ხსენებულ პრობლემასთან მიმართებაში გამოვყოფთ მისი კვლევის შემდეგ ასპექტებს: საჭიროა, პირველ რიგში, გავეცნოთ იმას, რასაც ამბობენ იგალიელი მკვლევარები (კერძოდ კი ლუკა პეცულო): ა) ჯერ გავეცნობით იმას, თუ როგორ აღიქმება თვით ფიქტური გელეფონის არსებობის მნიშვნელობა იგალიის საზოგადოების რიგითი წევრების მიერ; ბ) როგორ წარმოუდგენია ლუკა პეცულოს ფიქტური გელეფონის არსებობით განპირობებული კომუნიკაციის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოების წევრთა როგორც საკუთარი „მე“-ს მფლობელთა სუბიექტების ურთიერთ-

მიმართების თვალსაზრისით; გ) როგორიც არ უნდა იყოს ის ახალი თვისობრიობა, რომელიც ფიჭურ გელეფონს შემოაქვს ჩვენს კულტურულ არეალში, ცხადია ერთი: ამ თვისობრიობის სიახლე უნდა ვლინდებოდეს როგორც სივრცითი, ისე დროითი თვალსაზრისით. როგორ გამოიყურება ეს სიახლე სივრცითი თვალსაზრისით? ამ კითხვის დასმა და მასზე პასუხის გაცემა უნდა წარმოადგენდეს ლ. პეცულოს ნააზრევის ჩვენს მიერ განხილვის მესამე ასპექტს; დ) როგორია აღნიშნული სიახლის დროითი ასპექტი?

ხსენებული ავტორი კომუნიკაციის ფიჭურ სახეობასთან დაკავშირებით გამოთქვამს სამ ძირითად მოსაზრებას: ა) მობილური გელეფონი გვთავაზობს ინდივიდის პირადი მე-ს საკომუნიკაციო შესაძლებლობების გექნოლოგიური თვალსაზრისით გაფართოების შესაძლებლობას და, მაშასადამე, გვევლინება შიდა ინტრაფსიქიური ღონის ფუნქციის გარე გამოვლინებად; ბ) მობილური გელეფონი შლის საკომუნიკაციო პროცესის ყოველგვარ გერიგორიულ და გეოგრაფიულ საზღვრებს. ამ შემთხვევაში საკომუნიკაციო აქტი პირდაპირ კავშირშია ინდივიდთან და არა ამ აქტის კონგექსტთან: საკომუნიკაციო აქტის ფოკუსი „კონგექსტუალიზაციიდან“ „ინდივიდუალიზაციამდე“ გადაინაცვლებს; გ) ეს პროცესი დაკავშირებულია უფრო მნიშვნელოვან პროცესთან, რომელიც თანამედროვე საზოგადოებისა და კულტურისთვისაა დამახასიათებელი და რომელიც „დერადიკაციის“ და „დეკონგექსტუალიზაციის“ სახელითაა ცნობილი, რაც შემდეგს ნიშნავს: ხდება ინდივიდის იმ ფესვებისა და იმ კონგექსტის ქრობა, რომელიც მისი არსებობის წესებს აყალიბებს და სოციალურ, გეოგრაფიულ და კულტურულ გარემოს წარმოადგენს (რაც უფრო ზოგადად პირადი მე-ს ბუნებრივი კონგექსტიდან ამოვარდნას გულისხმობს).

ლუკა პეცულო ასკვნის, რომ გრადიციული გელეფონით

უფრო ადვილად და ხშირად შევიგრძნობთ სხვა პიროვნებასთან განშორებას, ვიდრე მის „სიახლოვეს“: ფიჭური კავშირით სარგებლობისას ხდება კომუნიკაციის „დეგერიგორიალიზება“ და „დეკონგექსტირება“, იშლება მისი ფუნქციური და გეოგრაფიული საზღვრები, რასაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მართლაც რომ ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

ამ „სიახლოვეს“ ავტორი განიხილავს ჯერ სივრცითი, ხოლო შემდეგ დროითი თვალსაზრისით. ვეყრდნობით რა, როგორც ლ. პეცულოს მიერ ჩატარებულ დავიროვნებებს, ისე მის მიერ გამოთქმულ თეორიულ მოსაზრებებს, ჩვენ მივიჩნევთ, რომ აუცილებელია ხსენებული ავტორის ნააზრევის შემდგომი გაღრმავება და, რაც მთავარია, მისი გადაყვანა მკაფიოდ განსაზღვრულ კონცეპტუალურ პლანში. თუ ჩვენ შევძლებთ აღნიშნული აზრობრივი „ოპერაციის“ განხორციელებას, ეს, ალბათ, იქნება იმის გოლფასი, რასაც ჩვენ ზემოთ ფატიკური კომუნიკაციის ახალ ყოფით პირობებში გააზრებისთვის აუცილებელი პრობლემის დასმა ვუწოდეთ: ფიჭურმა გელეფონმა, შექმნა რა თანამედროვე ადამიანის ყოფის მეორადი ღონე, გარდაქმნა თვით ფატიკურობა როგორც ფენომენი და მიანიჭა მას ახალი ფუნქცია, სახელდობრ სივრცისა და დროის გაღაღახვის ფუნქცია ადამიანთა ურთიერთობის პლანში. ეს, რა თქმა უნდა, ის ფუნქციაა, რომლის აუცილებლობა გამოწვეულია თვით თანამედროვეობის ეპოქალური სპეციფიკით: თანამედროვე ყოფა მის პირველად მოცემულობაში (ე.ი. თუ ჩვენ ამ ყოფას აღვიქვამთ ფიჭური გელეფონის გარეშე) ახდენს ადამიანთა ერთმანეთისგან იზოლირებას და შეიძლება ითქვას, ამძაფრებს ადამიანის მიერ სიმარგოვის შეგრძნებას. ადამიანები სცილდებიან ერთმანეთს როგორც სივრცეში, ისე დროში, ხოლო ფიჭური გელეფონი აძლევს მათ იმის საშუალებას, რომ რამდენაღმე მაინც შეინარჩუნონ ერთად ყოფნის განცდა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს განშორება

ძალიან მნიშვნელოვანია როგორც *სივრცითი*, ისე *ღროითი* თვალსაზრისით.

ლ. პეცულოს მიერ განხორციელებულმა დაკვირვებებმა საშუალება მოგვცა გავავითოთ ერთდროულად *ორი* ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული *დასკვნა*: ა) ფიჭური კომუნიკაციის ღროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ *ფაგიკურ* და არა ინფორმაციულ კომუნიკაციას; ბ) ის ფაგიკური კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება ფიჭური გელეფონით, ფუნქციურად და თვისობრივად *განსხვავდება* ლინგვისტიკისთვის კარგად ცნობილი *ფაგიკური კომუნიკაციისაგან*. ის ფაგიკური კომუნიკაცია, რომელიც პირველად აღწერა ბ. მალინოვსკიმ და რომლის სისტემატიზაცია მოახდინა რ. იაკობსონმა, ხასიათდება იმით, რომ იგი ქმნიდა შესაფერის (თბილ, მეგობრულ) ატმოსფეროს კომუნიკაციის შემდგომი, უკვე ინფორმაციული ხასიათის მაგარებელი ეგაპისათვის. რა თქმა უნდა, ამგვარად გაგებული ფაგიკური კომუნიკაცია ასრულებდა უაღრესად მნიშვნელოვან ფუნქციას: იგალიელ ლინგვისტთა მიერ ჩაგარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ფაგიკურობა წარმოადგენდა ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ფენომენის რეალიზაციის წინაპირობას, როგორიცაა „*შეხვედრა*“ (INCONTRO). ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ფაგიკური კომუნიკაცია მთლიანად ინარჩუნებს ხსენებულ ფუნქციურ დანიშნულებას ყოფის პირველადი მოდუსის ფარგლებში, მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ თანამედროვეობა მთელი თავისი ცივილიზაციური სტილით ემუქრება განსაკუთრებით იმას, რაც ადამიანებისთვის მოაქვს ხსენებულ „*შეხვედრას*“ – სწორედ იმ „*შეხვედრას*“, რომელიც ვერ იქნებოდა მიღწეული ფაგიკური კომუნიკაციის გარეშე. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ: ფიჭური კომუნიკაციის შემთხვევაში ფაგიკური კომუნიკაცია „თავის თავზე იღებს“ არა იმდენად „*შეხვედრისათვის*“ ნიადაგის მომზადების, არა-

მედ თვით „*შეხვედრის*“ *შენარჩუნებისა* და იქნებ *გალრმავე* ბის ფუნქციასაც კი.

ზოგადი დასკვნები

1) ივვეთება გარვეული წინააღმდეგობა (შინაგანი ანგინომიურობა) თვით ფაგიკური კომუნიკაციის უკვე დამკვიდრებულ შინაგან კონცეპტუალურ სტრუქტურაში: წლების განმავლობაში ფაგიკური კომუნიკაცია განიხილებოდა როგორც კომუნიკაციის ისეთი გიპი, რომლის ფუნქცია არ მდგომარეობდა ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაში, მაგრამ, ამავე ღროს, თვით კომუნიკაცია ზოგადად გაიგებოდა როგორც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის აქტი და პროცესი. ამ ანგინომიურობის გაღალახვა და ფაგიკური კომუნიკაციის როგორც ცნების შინაგანი კორექტულობის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ კომუნიკაციის თეორიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა დომინირებას იწყებს კომუნიკაციის *ინგერაქციული მოდელი*. თუ ფაგიკურ კომუნიკაციას განვიხილავთ ინგერაქციულ მოდელზე დაყრდნობით, მაშინ კომუნიკაციის ამ გიპმა შეიძლება დაიკავოს ადგილი არა მხოლოდ კომუნიკაციური პროცესის პერიფერიაზე, არამედ ამ პროცესის ნებისმიერ სეგმენტზე, რადგან სწორედ ინგერაქციულობა წარმოადგენს ფაგიკურობის ფუნქციურ არსს.

2) კომუნიკაციის ინგერაქციულ მოდელზე დაყრდნობა და ფაგიკურობის იმ კონცეფციის გათვალისწინება, რომელიც დომინირებს თანამედროვე იგალიელ მკვლევართა ნააზრევში, საშუალებას იძლევა დავინახოთ ფაგიკური კომუნიკაციის ფუნქციური არსი ადამიანთა ურთიერთობის იმ პოლუსის მიღწევის მცდელობაში, რომელსაც „*შეხვედრა*“ (INCONTRO) ეწოდება.

თანამედროვე სემიოტიკაზე და ლინგვისტიკაზე დაყრდნო-

ბით ფაგიური კომუნიკაციის ნებისმიერი მეგ-ნაკლები ავტონომიურობით მოქმედი სეგმენტი შესაძლებელია გავიგოთ როგორც გექსტი (ან მიკროგექსტი), რომელიც უნდა ხასიათდებოდეს ისეთი განზომილებებით, როგორიცაა სინგაქტივა, სემანტიკა და პრაგმატიკა. ფაგიური კომუნიკაციის სემიოტიკურ პლანში გააზრებისას განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ფაგიურ გამონათქვამთა სემანტიკისა და პრაგმატიკის ურთიერთმიმართება. თუ ჩვენ ღავეფუძნებით ფაგიური კომუნიკაციის ნაკლებად ინფორმაციულ და უპირატესად ინტერაქციულ ფუნქციურ არსს, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ ხსენებულ გამონათქვამთა *პრაგმატიკაში* და ვიგულისხმოთ, რომ ამ გამონათქვამთა სტრუქტურაში სემანტიკა განიცდის სრულ ან თითქმის სრულ „*პრაგმატიკაში*“.

3) თუ ჩვენ ერთდროულად გავითვალისწინებთ, ერთის მხრივ, თანამედროვე ყოფის ცივილიზაციურ და კომუნიკაციურ სტრუქტურას, ხოლო მეორეს მხრივ, თვით კომუნიკაციის როგორც ფენომენის თანამედროვე ხედვას, მაშინ ფაგიური კომუნიკაციის გააზრების წინა ეტაპებისგან განსხვავებით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ ფენომენის *მოცულობისა* და შესაბამისად *სტრუქტურის* საკითხს: დღეისთვის აუცილებელი ხდება ვილაპარაკოთ არა მხოლოდ ვერბალურ კომუნიკაციაზე, ანუ ფაგიური კომუნიკაციის იმ გიპზე, რომლის განხილვითაც დღემდის თითქმის ამოიწურებოდა ხოლმე ამ ფენომენის კვლევა, არამედ ფაგიური კომუნიკაციის ისეთ ქვეტიპებზეც, როგორიცაა *არავერბალური ფაგიური კომუნიკაცია* და *ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არსებობით განპირობებული ფაგიური კომუნიკაცია*.

4) ფაგიური კომუნიკაციის როგორც ფენომენის ამგვარი ანუ ჭეშმარიტად *სრული მოცულობით* ხედვა ახლებურად სვამს აგრეთვე მისი შინაგანი გიპოლოგიზაციის (ქვეტიპებად დაყოფის) კრიტერიუმთა პრობლემას. ჩვენ გამოვყოფთ ხსე-

ნებულ კრიტერიუმთა ორ განსხვავებულ პლანს: პირველ პლანში აუცილებელია განვასხვავოთ ფაგიური კომუნიკაციის ქვეტიპები იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათთან დაკავშირებულ გამონათქვამთა სემიოტიკური ბუნება, ანუ წარმოადგენენ თუ არა ისინი *ვერბალურ* თუ *არავერბალურ სემიოტიკურებს*; დიფერენციაციის მეორე პლანის თანახმად კი, უნდა განვასხვავოთ ფაგიური გამონათქვამები იმისდამხედვით, თუ უპირატესად თანამედროვე ყოფის რომელ ღონეს უკავშირდებიან ისინი – *პირველად ყოფით ღონეს* (ანუ იმ ღონეს, რომლის ფარგლებში ადგილი აქვს ადამიანთა შორის უშუალო კონტაქტს ყოველგვარი საკომუნიკაციო ტექნიკის გამოყენების გარეშე), თუ *მეორედ-ყოფით ღონეს* (ანუ იმ ღონეს, რომელიც იქმნება ამგვარი ტექნიკის გამოყენებით და შეუძლებელი იქნებოდა მის გარეშე). შესაბამისად ვიღებთ ფაგიურ გამონათქვამთა გიპოლოგიური ოპოზიციების ორ წყვილს:

1) პირველად-ყოფითი ფაგიური გამონათქვამები
Vs

მეორედ-ყოფითი ფაგიური გამონათქვამები

2) ვერბალური ფაგიური გამონათქვამები
Vs

არავერბალური ფაგიური გამონათქვამები

5) თუ გავითვალისწინებთ, ერთის მხრივ, ფაგიური კომუნიკაციის კვლევის ისტორიას, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ფენომენის ახალი სისრულით ხედვის აუცილებლობას და გარდუვალობას, საჭირო გახდება იმის დანახვაც, რომ ხსენებული ფენომენის ცალკეული ქვეტიპებისადმი პრობლემური მიდგომა კვლევის მოცემულ ეტაპზე ვერ იქნება რეალიზებული ერთიან და თანაბარ კონცეპტუალურ ღონეზე: ვერბალური ფაგიური

კომუნიკაცია ღრუბლოვანი საფუძვლიანადაა გამოკვეთილი და, შესაბამისად, საჭირო ხდება ამ კვლევის გაგრძელება შემდეგი ორი თვალსაზრისით: ა) საჭიროა აღვიქვათ ვერბალური ფაგიური კომუნიკაციის მთელი სფერო როგორც ერთიანი *პრაგმატული კომუნიკაციის სისტემა* და ბ) კიდევ ერთხელ განვახორციელოთ – ბუნებრივია მასში გარკვეული კორექტივების შეტანის გზით – ამ სისტემის *შინაგანი გიპოლოგიზაცია*.

ბ) არავერბალური ფაგიური კომუნიკაციის კვლევისას თეორიულ პლანში პრობლემის დასმა გულისხმობს, პირველ რიგში, იმ მეთოდოლოგიური სიძნელის გათვალისწინებას, რომელიც უკავშირდება ერთიანი ვერბალურ-არავერბალური კომუნიკაციური კონტინუმიდან საკუთრივ არავერბალური სეგმენტის და ამ სეგმენტის უპირატესად ფაგიური ქვეგზის გამოყოფის პრობლემას; ხოლო რაც შეეხება ახალი საკომუნიკაციო ტექნიკის არსებობით განპირობებულ ფაგიურ კომუნიკაციას, რომელიც ხორციელდება თანამედროვე ყოფის სრულიად ახალ ანუ მეორად დონეზე, აუცილებელია ვილაპარაკოთ თვით ფაგიურობის *თვისობრივ გარდაქმნაზე*: ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იმდენად ფაგიურობის იმ ფუნქციასთან, რომელიც ნიშნავდა ადამიანთა შორის „შეხვედრის“ (INCONTRO) როგორც კონტაქტის სიღრმისეული ფორმის დამყარებას, არამედ „შეხვედრის“ (INCONTRO) ერთდროულად შენარჩუნებასთან და თვისობრივ გარდაქმნასთან: ფიჭური გელეფონის საშუალებით საიმედოდ გადაილახება როგორც დრო და სივრცე, ისე კომუნიკანტების სუბიექტურ „მე“-თა განმარტებულობა.

დისერტაციის ძირითადი დებულებები გამოქვეყნდა შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ფაგიური კომუნიკაცია და ფაგიური ყოფითი ფორმების მსგავსება-განსხვავებანი იტალიურ და ქართულ ენებში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 334 (1), 1999, გვ. 126-147.

2. ფაგიური ფუნქციის როლი საკომუნიკაციო არხის ეფექტურობაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 339 (2) 2001, გვ. 272-276.

3. ენის ფაგიურ და ემოციურ ფუნქციათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 339 (2) 2001, გვ. 277-280.

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ЯЗЫКА И КУЛЬТУРЫ ИМ. И. ЧАВЧАВАДЗЕ

На правах рукописи

НИНО ЦЕРЦВАДЗЕ

**ФАТИЧЕСКАЯ КОММУНИКАЦИЯ И ЕЕ
ТИПОЛОГИЯ В ИТАЛЬЯНСКОМ ЯЗЫКЕ**

10.02.05 – Романские языки

А В Т О Р Е Ф Е Р А Т

диссертации, представленной на
соискание ученой степени
кандидата филологических наук

ТБИЛИСИ
2004

Диссертационная работа выполнена на кафедре романо-германской филологии Тбилисского государственного университета им.Ив.Джавахидзе.

Научный руководитель: **Циури Ахведиани**
профессор, доктор
филологических наук

Официальные оппоненты: **Кетеван Джаши**
профессор, доктор
филологических наук (10.02.04)


Кетеван Габуния
доцент, кандидат
филологических наук (10.02.04)

Защита диссертации состоится “ 3 ” “ февраля ” “ 2005 ” года в “ 13.00 ” часов на заседании Диссертационного совета Р 10.01 № 1 при Тбилисском государственном университете языка и культуры им.И.Чавчавадзе.
Адрес: Тбилиси, пр.И.Чавчавадзе, 45.

С диссертацией можно ознакомиться в научной библиотеке Тбилисского государственного университета языка и культуры им.И.Чавчавадзе..
Адрес: Тбилиси, пр.И.Чавчавадзе, 45.

Автореферат разослан “ ” “ декабря ” “ 2004 ” года.

Ученый секретарь
